89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №23-24 (7077) 9 დეკემბერი 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

მომავალ წელში ხელფასები და სოციალური დახმარებები გაიზრდება...

თუ ვის რამდენი ლარით ეზრდება ხელფასი მომავალი წლიდან, ყველა მოქალაქეს აინტერესებს.

ეს ინფორმაცია დეტალურადაა მოცემული 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, რომელიც საქართველოს პარლამენტს მთავრობამ წარუდგინა.

☞9

და როდემდე ეს კიდევ?
არა ფემიციდს! არა ძალადობას!

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო, თერჯოლის საზოგადოება, „თერჯოლას“ თანამშრომლები, ჩვენ ყველანი ერთად შეძრწუნებულები ვართ ამ საზარელი ფაქტით, სამძიმარს და თანადგომას ვუცხადებთ ამ უსასტიკესი ძალადობის მსხვერპლის ოჯახს, ობლად დარჩენილ პატარებს, ოჯახის ახლობლებს და გთავაზობთ საგანგებო განცხადება-მიმართვას, რომელიც მომხდარი ფაქტის მეორე დღესვე 25 ნოემბერს გააკეთა თერჯოლის ქალთა საბჭომ.

24 ნოემბერს თერჯოლაში შემზარავი ტრაგედია დატრიალდა, სავაჭრო ცენტრ „მაგნიტში“ ყოფილმა მეუღლემ, ორი შვილის დედა, ახალგაზრდა ქალი საზარელი სისასტიკით სამუშაო ადგილზე მოკლა. ოთახში გამოკეტა, ბენზინი გადაასხა და ცეცხლი წაუკიდა... მიღებული დამწვრობისაგან მოძალადე თავადაც გარდაიცვალა.

☞3

უკრაინაში 5 ქართველი მებრძოლი დაიღუპა.

რომეო ფიჩხაია, მერაბ ალადაშვილი, ბადრი მარკელია, ავთო რურუა და როლანდ კვარაცხელია სამ დეკემბერს ბახმუტთან უთანასწორო ბრძოლებში დაეცნენ.

ვუსამძიმრებთ დაღუპულთა ოჯახებს და სრულიად საქართველოს.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

☞2,3

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები

☞4,5

სასარგებლო ტრადიცია ორწლიანი პაუზის შემდეგ განახლდა...

☞6.7

სასწავლო სამუშაო ვიზიტი პოლონეთში

☞8

ახალი—2023 წელი, ჩვენი გაზეთის 90 წლის იუბილის წელია!

2022 წელი თვინიშის სწორზე გავიდა, არ დაგავიწყდეთ ჩვენი გაზეთის გამოწერა 2023 წლისათვის!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

გაზეთის ერთი ნომრის ღირებულებაა 50 თეთრი,
6 თვით - 6 ლარი, წლით - 12 ლარი.
ხელმომწერთათვის დადგენილია სხვადასხვა შეღავათები.

ძვირფასო თერჯოლელებო, ჩვენო მკითხველებო!

გაზეთ „თერჯოლის“ მომავალი ნომერი საახალწლო—-საშობაო იქნება და მას ჩვენი ხელმომწერები 2023 წლის იანვრის პირველ რიცხვებში კალენდართან ერთად მიიღებენ.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

საინტერესო ფოტო-კონკურსი

ა(ა)იპ სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის, ტურიზმის მიმართულების ორგანიზებით ჩატარებული ფოტო-კონკურსის ,,ჩემი მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობები“-ს გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა.

ღონისძიებაში მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი და ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატი, ელისო მურადაშვილი მონაწილეობდნენ.

დაჯილდოებას ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი, სოფიო ბუსკივაძე უძღვებოდა. პროექტის ფარგლებში, წარმოდგენილი იყო, მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობები და ტურისტულად საინტერესო ადგილები.

ფოტო-კონკურსში, რომლის მიზანი მოყვარული ფოტოგრაფების ნამუშევრების გამოვლენა და ტურიზმის პოპულარიზაციაა, მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლები ჩაერთნენ. ღონისძიების ფარგლებში გამარჯვებული მონაწილეები ჟიურის მიერ გამოვლინდნენ. მათ რომლებთაც ფულადი ჯილდოები და შესაბამისი სიგელები გადაეცათ.

ხელმძღვანელმა პირებმა პროექტის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადეს და მონაწილეებს სამომავლოდ წარმატებები უსურვეს. აღნიშნეს, რომ თერჯოლის მერია ყოველთვის აქტიურად დაუჭერს მხარს ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარებას.

ღონისძიებას საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ქეთევან შეყრილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, დავით გოგბერაშვილი და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

მომავალში ჩვენი გაზეთი პერიოდულად გაგაცნობთ კონკურში გამარჯვებულებსა და მათ ნამუშევრებს.

მნიშვნელოვანი გზა

საგზაო ინფრასტრუქტურის მონიტორინგის ფარგლებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ და მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად სოფელ კვახჭირში საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს.

ამ დროისთვის სოფელ სარბევში აქტიურ ფაზაშია ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში არმირებული ბეტონის საფართან ერთად, სანიაღვრე არხებიც მოეწყობა.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები რგფ-ის დაფინანსებით ხორციელდება. სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება.

უახლოეს დღეებში დაიწყება სოფელ კვახჭირში მინი სტადიონის მშენებლობა, რაც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა.

სამუშაო შეხვედრას საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელები ესწრებოდნენ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა რიგგარეშე სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი 4 საკითხის შესახებ იმსჯელეს: „თერჯოლის მუნიციპალიტეტის

2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის, 2023 წლის პროგრამული დანართისა და 2023-2026 წლების პრიორიტეტების განხილვის შესახებ. ასევე მოისმინეს ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ათი თვის შესრულების შესახებ.

დეპუტატებმა სხდომაზე მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტს ქ. თერჯოლაში მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ არსებული სკვერისათვის ლაშა გოგიაშვილის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.

ასევე, საკითხს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს„მზეკაბანი-2007“-ს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე“.

აღნიშნულ საკითხებზე საკრებულოს სხდომამდე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ეკონომიკის და ქონების მართვის საკითხთა კომისიის, იურიდიულ საკითხთა კომისიის და ბიუროს სხდომებზე იმსჯელეს.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე, მირზა ქოჩიაშვილი და მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ახალთერჯოლის წყალი

აქტიურ ფაზაშია სოფელ ახალთერჯოლის უწყვეტი წყალმომარაგების წყლის მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები.

მიმდინარე პროცესი მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან ერთად ადგილზე დაათვალიერა.

დღეის მდგომარეობით წყალმომარაგების სისტემის მშენებლობისთვის საჭირო სამუშაოები უკვე დაწყებულია და პროცესი ინტენსიურად მიმდინარეობს.



პროექტის ფარგლებში, წყლის ცენტრალური რეზერვუარი, დამცლელი და მიმწოდებელი მაგისტრალები, საქლორატორო, სატუმბი სადგური და ინდივიდუალური მრიცხველები მოეწყობა. პროექტის დასრულების შემდეგ, სასმელი წყლით 630 ოჯახი ისარგებლებს.

სოფელ ახალთერჯოლაში სასმელი წყლის ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოებს რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯი-ი-ეს“ ახორციელებს. სამუშაოების ღირებულება 2 138 227 ლარს შეადგენს.

სამუშაო შეხვედრას ახალთერჯოლა-სიქთარვის მაჟორიტარი დეპუტატი ჯემალ ისაკაძე, საკრებულოს წევრი ბიძინა ბუცხრიკიძე, საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ზვიად გვადიბაძე და მერის წარმომადგენელი გრიგოლ კუბლაშვილი ესწრებოდნენ.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

ლაშა გოგიაშვილის სახელობის მუნიციპალეური ტურნირი მინი ფეხბურთში

ტურნირის ფინალი თერჯოლის ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონზე გაიმართა. იყო ხმაური, აჟიოტაჟი, მაყურებელთა გამამხნევებელი შეძახილები...

მუნიციპალიტეტის სოფლებში ფეხბურთი ცოცხლობს... ფეხბურთი ყველგან არის, ყველგან პოულობს თავის სადგომ-სამყოფელსა და საასპარეზოს...

18 ნოემბერს საფინალო შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა ფეხბურთის ძალმოსილება.

ნახშირღელელმა და ალისუბნელმა ფეხბურთის ოსტატებმა თხუთმეტ მონაწილე გუნდს შორის შეუპოვარი ბრძოლით გამოიკვლიეს ძნელად გასავლელი გზა ფინალამდე.

აქ მათ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ერთმანეთს. პირველ ტაიმში ნახშირღელელებმა პირწმინდად დაჩაგრეს თავიანთი ალისუბნელი მოწინააღმდეგენი და გულიც დაიიმედეს, რომ საქმეს ბოლომდე ადვილად მიიყვანდნენ. მაგრამ... მაგრამ, ხომ გვახსოვს ბრძენთა შეგონება—„კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“...

ალისუბნელებმა მეორე ტაიმის დაწყებისთანავე აჩვენეს, რომ სულაც არ აპირებდნენ ბედთან შერიგებას. მათ ზედიზედ ოთხივე ბურთი გაუქვითეს მოწინააღმდეგეთ—თავი ქუდში რომ ეგონათ. ყველაფერი თავიდან დასაწყები, ანუ პენალტების გადასაწყვეტი გახდა.

აქ კი ფორტუნა ალისუბნელთა მხარეს აღმოჩნდა...

ვულოცავთ!

ასევე, ვულოცავთ ნახშირღელელებს, ისინიც იმსახურებდნენ გამარჯვებას, მაგრამ, უკვე ვთქვით—ფორტუნამ ასე ინება!

***

ფინალს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები: მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, მოადგილეები: დავით გოგბერაშვილი და ჯემალ ისაკაძე. მათ ფინალის მონაწილეებს მიულოცეს და შესაბამისი სიგელები და მედლები გადასცეს.

დაჯილდოების ცერემონიალს, ისე, როგორც მთელ ტურნირს უძღვებოდა მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური (გურამ თურქაძე).

ჭეშმარიტად საზეიმო დღე იყო. ფეხბურთს მონატრებული საზეიმო დღე...

ასეთი დღეები არასდროს გვავიწყდება.

მადლობა ყველას, ორგანიზატორებს, შესაბამის სამსახურებს, სოფლების მესვეურთ. მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, ბოლომდე რომ იხარჯებოდნენ...

მადლობა მაყურებლებს, იმ დღეს საოჯახო საქმეები „ხვალისთვის“ რომ გადადეს და თავიანთ გუნდებს ამხნევებდნენ...

***

ლაშა გოგიაშვილის სახელობის მუნიციპალური ტურნირი მინიფეხბურთში, ტრადიციული გახდება.

ნუგზარ გამყრელიძე

ქალთა საბჭოს განცხადება და მიმართვა საზოგადოებას

დღეს 25 ნოემბერია - „ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის საერთაშორისო დღე“. დიახ მეგობრებო: დღეს იღებს სტარტს კამპანია „16 აქტიური დღე ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“, და ამ დროს, წუხელ, თერჯოლაში შემზარავი დანაშაული ხდება. არა, სიტყვა „დანაშაული“ რბილად ჟღერს. ეს დანაშაულზე გაცილებით მეტია, შემზარავი სისასტიკეა. კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალი შეეწირა მეუღლის ძალადობას; კიდევ ორი მცირეწლოვანი შვილი დაობლდა; კიდევ ერთმა დედამ ჩაიცვა შავები; კიდევ ერთი ოჯახი შეიმოსა ძაძით; კიდევ, კიდევ, კიდევ . . . . და როდემდე ეს კიდევ? როდემდე უნდა ეძებდეს საზოგადოება გზას მას მერე, რაც ურემი გადაბრუნდება?

ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევაა, რომლის ფესვებიც გენდერულ სტერეოტიპებშია გადგმული, თუმცა მიგვაჩნია, რომ ის დაუძლეველი პრობლემა არ უნდა იყოს. მისი აღმოფხვრა შესაძლებელია ქალთა უფლებების დაცვით, ძალადობის პრევენციის ღონისძიებებით.

წლების მანძილზე ოჯახური ძალადობა ოჯახურ პრობლემად ითვლებოდა და მასში ჩარევისაგან თავს იკავებდა საზოგადოება. დღემდეც, მცირე გამონაკლისების გარდა, ოჯახური ძალადობა ტაბუდადებული თემაა. ის აღიქმება, როგორც ოჯახის „პირადი“ საქმე. ძალადობის მსხვერპლებს არ უნდათ განაცხადონ განცდილის შესახებ; მათ რცხვენიათ საკუთარი თავის, ეშინიათ, რომ ბრალს დასდებენ ოჯახის „ღალატში“, ეშინიათ მოძალადის მხრიდან შურისძიებისა და აგრესიის და დუმილს ამჯობინებენ. სამწუხაროდ, საზოგადოებაც თავს „იყრუებს“, ეს ხომ „ოჯახური საქმეა“ და არ უნდა ჩავერიოთო. შედეგად, მსხვერპლი მოძალადის პირისპირ მარტო და დაუცველი რჩება. მერე კი საკმაოდ გვიანია „ვაი“ და „უი“.

თერჯოლის ქალთა საბჭო, თქვენი დედები და ბებიები, დეები და მეგობრები, მოგმართავენ ახალგაზრდებს, მოგმართავენ და გთხოვენ: გაუფრთხილდით თქვენი შვილების დედებს, თუნდაც ისინი თქვენი ყოფილი მეუღლეები იყვნენ. ნუ გაწირავთ ობლობისთვის თქვენსავე შვილებს. დაიოკეთ ბოღმა და შური, დაძლიეთ ეგოიზმი და ყოველთვის იფიქრეთ იმაზე, თუ როგორ ხასიათზე დადგებოდით თქვენი დისთვის მასგავსი რომ გაეკეთებინა ვინმეს. გაითავისეთ, რომ არავის აქვს უფლება სხვა ადამიანს ღმერთის მიერ ბოძებული სიცოცხლე წაართვას.

თერჯოლის ქალთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ფემიციდის მსხვერპლი კიდევ ერთი ახალგაზრდა ქალბატონის თამილა ლილუაშვილის ტრაგიკულად გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს, მის მეგობრებს და ახლობლებს, სრულიად თერჯოლას, სრულიად საქართველოს.

P.S. დიახაც: ფემიციდის მსხვერპლი ეს ახალგაზრდა ქალბატონი მთელი საქართველოს ტკივილი უნდა იყოს.

მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის განვითარებისათვის...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში ა(ა)იპ იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან (DMO Imereti) საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი, სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის, ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი, სოფიო ბუსკივაძე, მერის წარმომადგენლები და კერძო სექტორში ჩართული პირები ესწრებოდნენ.

სამუშაო შეხვედრაზე მუნიციპალიტეტში ტურისტული პოტენციალის განვითარებასა და ხელშეწყობაზე ისაუბრეს. ხაზი გაესვა სამომავლო თანამშრომლობასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

„თერჯოლის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მხრივ მნიშვნელოვნად მოწესრიგდა ტურისტული ინფრასტრუქტურა, პროცესი დღემდე გრძელდება. აქტიურ ფაზაშია სოფელ ძევრში, მდ. ძევრულას კარსტულ ხეობაში რეკრეაციული ზონის მოწყობის სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, საპიკნიკე ფანჩატურები, მდ. ძევრულაზე გადასახედი, გამჭვირვალე კონსტრუქციები და შშმ პირებზე ადაპტირებული გარემო მოეწყობა, რაც სოფელს ახალ შესაძლებლობებს შემატებს. ვიზიტორების მიღება განახლდა ნავენახევის მღვიმეში. მოეწყო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა, ამფითეატრი, საგანმანათლებლო და ბავშვთა გასართობი სივრცეები. აღსანიშ-

ნავია, რომ თერჯოლას დიდი პოტენციალი გააჩნია. ვიზიტორები მუნიციპალიტეტში არსებულ თითოეულ ტურისტულ ლოკაციაზე დროის საინტერესოდ გატარებას შეძლებენ “—განაცხადა მანუჩარ რობაქიძემ.

ვიმუშაოთ ოპერატიულად და შედეგებზე ორიენტირებულად...

ამ დღეებში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, მანუჩარ რობაქიძემ, მერის მოადგილის, მირზა ქოჩიაშვილის, მერიის სამსახურებისა და განყოფილების უფროსების, მერის წარმომადგენლების და ა(ა)იპის ხელმძღვანელების მონაწილეობით მორიგი სამუშაო თათბირი გამართა.

შეხვედრაზე სოფლებში არსებულ ვითარებასა და პრობლემურ საკითხებზე ისაუბრეს, რომლებიც უახლოეს დროში მოითხოვს რეაგირებას.

ხელმძღვანელმა პირებმა წარმომადგენლებს დაავალეს, პროაქტიულად წარმოადგინონ ინფორმაცია თავიანთ თემებში არსებული სიახლეებისა და საჭიროებების შესახებ. ამასთან, მოითხოვეს, რომ კომუნიკაცია მერიის შესაბამის სამსახურებთან გახდეს უფრო ოპერატიული და შედეგზე ორიენტირებული, რაც ხელს შეუწყობს თითოეული მოქალაქის პრობლემების მოგვარებას.

თათბირზე, ასევე განიხილეს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მიმდინარეობა.

სამუშაო შეხვედრაზე, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა, დიანა ფოცხვერაშვილმა სოციალური პროგრამების განხორციელების შესახებ შეფასება გააკეთა და მომავალში კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვაზე ისაუბრა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის, მანუჩარ რობაქიძის ინიციატივით, სოციალური მიმართულებით, ოჯახების გაძლიერების მიზნით, მიმდინარე წელს საბარბარობო ნობათს 100-მდე ბენეფიციარი მიიღებს, ასევე მოხდება საახალწლოდ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციართა ოჯახების დახმარება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები
(პროექტი)

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად გეგმაზომიერად მუშაობს მუნიციპალიტეტის მომავალი წლის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ძირითადი ფინანსური დოკუმენტის—მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დადგენილ ვადებში დასამტკიცებლად.

2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დოკუმენტაცია, რომელიც მუნიციპალიტეტის მერიამ მოამზდა, დროულად გადაეცა საკრებულოს.

თავის მხრივ მერიის სამსახურების მონაწილეობით იგი განიხილეს საკრებულოს კომისიებში. ბიუჯეტის პროექტის პირველი განხილვა უკვე შედგა საკრებულოს 2022 წლის 24 ნოემბრის რიგგარეშე სხდომაზე.

სხომაზე ასევე განიხილეს ინფორმაცია თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 10 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა ცნობად.

ორივე საკითხი დეპუტატებს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა წარუდგინა.

2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს საკრებულოს დეპუტატებმა.

დეპუტატების წინადადებებსა და შენიშვნებზე ამომწურავი განმარტებები გააკეთა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა მანუჩარ რობაქიძემ, რომელიც მოადგილესთან მირზა ქოჩიაშვილთან და მერიის სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად ესწრებოდა საკრებულოს სხდომას.

საკრებულომ აღნიშნული პროექტი განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით დამუშავებისათვის და ხელახლა წარმოსადგენად დაუბრუნა მუნიციპალიტეტის მერიას.

2023 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით „თერჯოლის“ ამ ნომერში მკითხველს ვთავაზობთ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულ პარამეტრებს. აქვე, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ 2022 წლის ბიუჯეტის გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებით, 2023 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი საპროგნოზო გეგმიური მაჩვენებელი გაზრდილია 2 მლნ. 250,0 ათასი ლარით და იგი 15 მლნ. 750 ათას ლარს შეადგენს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საკრებულოსათვის ხელმეორედ წარდგენილი ბიუჯეტის საპროექტო გეგმიური მაჩვენებელი 1.0 მლნ ლარით გაიზრდება და იგი 16 მლნ. 750.0 ათასი ლარი იქნება.

ვიდრე მომავალი წლის საბიუჯეტო პარამეტრებს გაგაცნობდეთ წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტის იმ ხედვას, რაც გაცხადებულია პროექტის თანმხლებ დოკუმენტში.

მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

2023-2025 წლებში თერჯოლის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნან საშუალო ვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის ისტორიულად მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, რაც გულისხმობს მიმზიდელი გარემოს შექმნას და თერჯოლის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად, ყველა მიმართულებით გაატარებენ ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ მცირე, მოქნილ და ეფექტიან მმართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, როგორიცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა, რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის წარმატებულ მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები, რომლებიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობენ ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის, ასევე მუნიციპელიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელდება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები, რომლებიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადსხავა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

2023 წლის ბიუჯეტის საპროექტო პარამეტრები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით ეთანადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2023 წლის პროგნოზით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 15750.0 ათას ლარს შეადგენს. 2022 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2023 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2250.0 ათასი ლარით. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის ზრდით;

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის საშემოსავლო ნაწილის მაჩვენებლის მიხედვით, რეალური შემოსავალი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით - 388,6 ლარს მიაღწევს, ხოლო რეალური შემოსავალი ერთ სულზე საშუალოდ თვეში - 32,3 ლარი იქნება.

2023 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 15750.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები 14480.2 ათასი ლარით, გრანტები 200.0 ათასი ლარის ოდენობით, არასაგადასახადო შემოსავლები 869.8 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 200.0 ათასი ლარის ოდენობით.

საგადასახადო შემოსავლები

მთლიან შემოსავლებში (15750.0 ათასი ლარი), უშუალოდ საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 91,3%–ს, ანუ 14480.2 ათას ლარს შეადგენს. მათ შორის: ქონების გადასახადი 2300.0 ათასი ლარი (აქედან: საქართველოს საწარმოთა ქონება - 1870.0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონება - 30.0 ათასი ლარი, გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 100.0 ათასი ლარი და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 300.0 ათასი ლარი), დამატებული ღირებულების გადასახადი 12180.2 ათასი ლარი;

გრანტები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების საპროგნოზო მოცულობაში (15750.0 ათასი ლარი) ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების (ტრანსფერების) ხვედრითი წილი 1,2 %–ს, ანუ 200.0 ათას ლარს შეადგენს (მიზნობრივი ტრანსფერი – 200.0 ათას ლარი), ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერი ამ ეტაპზე არ არის განსაზღვრული.

სხვა შემოსავლები

ასევე მომავალი საბიუჯეტო წლის პროექტში შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა სხვა შემოსავლები, რომლებიც დაგეგმილია - 869.8 ათასი ლარით, მისი ხვედრითი წილია 5,5%. მათ შორის: პროცენტები განსაზღვრულია - 150.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 368.0 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან დაგეგმილია 20,0 ათასი ლარი. სანებართვო მოსაკრებელი - 16.8 ათასი ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 120.0 ათასი ლარი, შემოსავალი მომსახურეობის გაწევიდან - 15.0 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 150.0 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 30.0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების კლება დაგეგმილია-200.0 ათასი ლარით, რომლის ხვედრითი წილია 1,2%. აქედან ძირითადი აქტივები -50.0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივები - 150.0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო (საგეგმო) მაჩვენებლებში საერთოდ არ არის შეტანილი: საერთო– სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი, ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის და სხვა. რადგან, ამ სახის მოსაკრებლებიდან, წინა საბიუჯეტო წლებში, ფაქტიური შემოსავლები არ დაფიქსირებულა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის საგასავლო ნაწილის საპროგნოზო პარამეტრები განსაზღვრულია საშემოსავლო ნაწილის შესაბამისად - 15750.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც 2250.0 ათასი ლარით მეტია 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება - 1610.0 ათასი ლარი; მათ შორის:

—გზებისა და ხიდების, მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი დაგეგმილია - 400.0 ათასი ლარით. გზების მიმდინარე შეკეთება (ორმული დამუშავება) დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით.

—წყლის სისტემის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსდება-300.0 ათასი ლარით. აქედან, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე განსაზღვრულია-50.0 ათასი ლარი.

☞5

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები
(პროექტი)

4☞

—გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯი დაფინანსდება 450.0 ათასი ლარით.

—კომუნალური მეურნეობის განვითარების ხარჯები დაფინანსდება 150.0 ათასი ლარით.

—სოფლის პროგრამები დაფინანსდება 10.0 ათასი ლარი.

—საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება 300.0 ათასი ლარით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა 2600,0 ათასი ლარით; მათ შორის:

დასუფთავების და კეთილმოწყობის (ა(ა)იპ „თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“) 2023 წლის ასიგნება 2600.0 ათასი ლარით განისაზღვრა;

განათლება - 3811.0 ათასი ლარი. მათ შორის:

—სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვა (ა(ა)იპ „სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“-ს) დაფინანსება განსაზღვრულია 126.0 ათასი ლარით.

—სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება განისაზღვრა 3400.0 ათასი ლარით.

—სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და მშენებლობა დაფინანსდება 10.0 თასი ლარით.

—საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.

—სკოლისგარეშე განათლება (ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრი“-ს) დაფინანსდება 265.0 ათასი ლარით.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1826.0 ათასი ლარი. მათ შორის:

—სპორტული ღონისძიებები დაფინანსება 20.0 ათასი ლარით.

—სპორტული სკოლა (ა(ა)იპ „თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი“) დაფინანსდება 600.0 ათასი ლარით.

—სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (ა(ა)იპ „თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრი“) დაფინანსდება 209.0 ათასი ლარით.

—სახელოვნებო სკოლები 245.0 ათასი ლარით.

—ბიბლიოთეკები დაფინანსდება 150.0 ათასი ლარით.

—კულტურის სახლების დაფინანსება განსაზღვრულია 378.0 ათასი ლარით.

—მუზეუმების დაფინანსება განსაზღვრულია 69.0 ათასი ლარით.

—ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსდება 40.0 ათასი ლარი;

—რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 50.0 ათასი ლარით განისაზღვრა.

—საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება 65.0 ათასი ლარით.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -1397.0 ათასი ლარი. მათ შორის:

—საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) დაფინანსდება 137.0 ათასი ლარით.

—ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (სოფლის ამბულატორიები) დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.

—სოციალური დაცვა დაფინანსდება 1250.0 ათასი ლარით, რომელიც მოიცავს შემდეგ სოციალურ პროგრამებს:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარება.

3. ქალაქ თერჯოლაში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ნაწილი, რომელიც სარგებლობდა უფასო სასადილოთი, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი თანხებით.

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარება.

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარება.

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი უნარშეზღუდული ბავშვების დღის ცენტრების დაფინანსება.

7. თერჯოლის ინვალიდთა ასოციაციის დახმარება (მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისათვის სხვადასხვა ღონისძიებები).

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარება. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტი ანხორციელებს ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამას.

9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა. აღნიშნული ითვალისწინებს სტიქიური და სხვა მოვლენების შედეგად სახლდაზიანებული ოჯახების დახმარებას.

10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე მედიკამენტებით დახმარება.

11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე საკვები პროდუქტებით დახმარება.

12. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება და სარიტუალო მომსახურობა. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. თითოეულ გარდაცვლილ ომის ვეტერანზე 250 ლარის ოდენობით.

13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების ერთჯერადი თანადაფინანსება. აღნიშნულით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების (გარდა პლასტიკური ოპერაციებისა) ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება.

14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა ოჯახების ფინანსური დახმარება.

15. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება.

16. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების პროგრამა.

17. უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2023 წელში განსაზღვრულია 4506.0 ათასი ლარით.

—თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო 895.0 ათასი ლარი;

—თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია 3325.0 ათასი ლარი;

—სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური 165.0 ათასი ლარი;

—სარეზერვო ფონდი 50.0 ათასი ლარი;

—წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა1.0 ათასი ლარი;

—მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 50.0 ათასი ლარით.

—კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 20.0 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდაფუნქციონალურ ჭრილში:

—საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 4341.0 ათასი ლარი;

—თავდაცვა - 165.0 ათასი ლარი;

—ეკონომიკური საქმიანობა - 400,0ათასი ლარი;

—გარემოს დაცვა - 2600,0 ათასი ლარი;

—საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 1210,0ათასი ლარი;

—ჯანმრთელობის დაცვა - 147,0 ათასი ლარი;

—დასვენება , კულტურა და რელიგია - 1826.0 ათასი ლარი;

—განათლება - 3811.0 ათასი ლარი;

—სოციალური დაცვა - 1250,0 ათასი ლარი;

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები საბიუჯეტო კლასიფიკაციის ჭრილში:

—შრომის ანაზღაურება - 3079.0 ათასი ლარი;

—საქონელი და მომსახურება - 1876.0 ათასი ლარი;

—პროცენტი -20.0 ათასი ლარი;

—სუბსიდიები - 8309.0ათასი ლარი;

—გრანტი - 15.0 ათასი ლარი;

—სოციალური უზრუნველყოფა - 875.0 ათასი ლარი;

—სხვა ხარჯი - 574.0 ათასი ლარი;

—არაფინანსური აქტივები - 972.0.0ათასი ლარი;

—ვალდებულებები - 30.0 ათასი ლარი;

2022 წლის ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდა შეადგენს 972.0 ათას ლარს, მათ შორის:

—ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვის ხარჯი და რგფ პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება 400.0 ათასი ლარით. გზების მიმდინარე შეკეთება (ორმული დამუშავება) დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით და რეგიონში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით.

—წყლის სისტემის რეაბილიტაცია დაფინანსდება 50.0 ათასი ლარით—რგფ პროექტების თანადაფინანსება.

—გარე განათების ქსელზე მიერთება დაფინანსდება 10.0 ათასი ლარი.

—კომუნალური მეურნეობის განვითარება დაფინანსდება 100.0ათასი ლარით—რგფ პროექტების თანადაფინანსება.

—სოფლის პროგრამები დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.

—საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა და საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება დაფინანსდება 300.0 ათასი ლარით.

სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციის თანადაფინანსება დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.

ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია (სოფლის ამბულატორიები) დაფინანსდება 10.0 ათასი ლარით.

—მუნიციპალიტეტის მერია დაფინანსდება -82.0 ათასი ლარი (კომპიუტერული ტექნიკის შეძენა - 20.0 ათასი ლარი; პრინტერები 15.0 ათასი ლარი და სხვადასხვა ტექნიკა 47.0 ათასი ლარი).

2022 წლის ბიუჯეტში „კაპიტალური ბიუჯეტი“ გათვალისწინებული არ არის, რადგან დაგეგმილ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდაზე განსაღვრული თანხა დაიხარჯება მცირე სარემონტო ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე და მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტების თანადაფინანსებასა და ზედამხედველობაზე.

P.S. შენიშვნები, წინადადებები და მოსაზრებები გთხოვთ მიაწოდოთ მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას ან გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციას.

სასარგებლო ტრადიცია ორწლიანი პაუზის შემდეგ განახლდა...

დავით კლდიაშვილი

18-20 ნოემბერს, თბილისში სახალხო მეურნეობის გამოფენების ცენტრი „ექსპოჯორჯია“ სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენას (Agro / Food / Drink / Tech / Expo 2022) მასპინძლობდა. გამოფენა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან პარტნიორობით გაიმართა.

ეს გამოფენა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა და გამოფენების ცენტრის „ექსპოჯორჯიას“ დირექტორმა, რესან ქიქავამ გახსნეს.

ამ გამოფენის გახსნით კოვიდპანდემიიდან გამომდინარე, ორწლიანი პაუზის შემდეგ, ოცწლიანი კარგი ტრადიცია განახლდა. გამოფენის ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა აქტივობები, კონფერენციები, განხილვები და თემატური დისკუსიები.

გამოფენა „ექსპოჯორჯიას“ მე-6 პავილიონსა და მის მიმდებარე გარე სივრცეში განთავსდა, სადაც წარმოდგენილი იყო სასოფლო–სამეურნეო ტექნიკა, მანქანა–დანადგარები, ტარა და შესაფუთი მასალები, სასათბურე მეურნეობის ტექნოლოგიები და აღჭურვილობა, სარწყავი სისტემები, ლაბორატორიული აღჭურვილობა, სარგავი და სათესლე მასალები, სასუქი და პესტიციდები, საკონსულტაციო მომსახურება და თანამედროვე ტექნოლოგიები.

18 ნოემბერს, გამოფენის ფარგლებში, გაიმართა კონფერენცია „სოფლის მეურნეობა საქართველოში“. კონფერენციაზე მოეწყო სადისკუსიო პანელი თემაზე „სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმები და შესაძლებლობები“, ასევე გაიმართა სემინარი „დაფინანსების ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობები, როგორც კერძო სექტორის, ისე დონორი ორგანიზაციების მხრიდან“. კონფერენციას ესწრებოდნენ ფერმერები საქართველოს რეგიონებიდან.

ასეთი გამოფენები საუკეთესო პლატფორმაა მეწარმეებისა და ფერმერებისთვის, როგორც სიახლეების გაცნობის და საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების, ასევე, საქმიანი კონტაქტების და პარტნიორების მოძიების კუთხით. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისინი ხელმისაწვდომი იყოს რეგიონებში მცხოვრები ფერმერებისა და მცირე მეწარმეებისთვის.

თერჯოლიდან, 19 ნოემბერს, გამოფენას 15 კაციანი ჯგუფი ეწვია. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს თერჯოლიდან გასვლა საგრძნობლად დაუგვიანდა ტექნიკური მიზეზის გამო, საგანგებოდ გამყოფილი მიკროავტობუსით, მისი მძღოლის, მართლაც თავისი საქმის უმაღლესი კლასის პროფესიონალის, თერჯოლელი ამბროსი ფანჩუილიძის წყალობით მაინც მოხერხდა, რომ ყველაფერი მოგვესწრო. გამოფენაზე ბევრ საინტერესო სიახლეს გავეცანით, კონტაქტები დავამყარეთ ცალკეულ კომპანიებთან, ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებლების და დისტრიბუციის წარმომადგენლებთან. სამწუხაროა, რომ ასეთ სასარგებლო გამოფენას, მისი მხოლოდ სამი დღით ფუნქციონირების გამო, ალბათ ბევრი ფერმერი ვერ დაესწრო, მათ შორის თერჯოლის მუნიციპალიტეტიდანაც. იმედია, ეს ხარვეზი მომავალში აუცილებლად აღმოიფხვრება, რაც ფერმერთა საქმიანობაში მეტ ინოვაციურ სიახლეებს დაამკვიდრებს, საბოლოო შედეგი კი მათ მიერ მაღალკონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება იქნება.

გამოფენის ირგვლივ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ ჩვენი რაიონის წარმომადგენლები: მექანიზატორი ავთანდილ აბულაძე ქვედა სიმონეთიდან და ფერმერი გელა დადუნაშვილი სოფელ-ღვანკითიდან.

☞7

ეკონომიკური ზრდისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისთვის...

საქართველოს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისთვის 2023 წელს 6 მილიარდ 900 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება, მათ შორის:

— სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გამოყოფილია 500 მილიონ ლარამდე, საიდანაც:

შეღავათიანი აგროკრედიტების დაფინანსებაზე მიიმართება 200,0 მლნ ლარი;

სამელიორაციო სისტემებზე 95 მილიონი ლარი;

გრძელვადიანი ბაღების გაშენების თანადაფინანსებაზე – 35 მილიონი ლარი;

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსებაზე – 25 მლნ ლარი;

აგროდაზღვევაზე – 12 მილიონი ლარი;

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებაზე გათვალისწინებულია 15 მილიონი ლარი;

რთველის დაფინანსებისთვის გამოყოფილია 80,0 მლნ ლარი;

სხვა დანარჩენი პროგრამების დაფინანსება – 40 მლნ ლარამდე;

—მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილია 310 მილიონი ლარი, მათ შორის:

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ – 205 მილიონი ლარი;

საკრედიტო-საგარანტიო სქემა – 55 მილიონი ლარი;

ინოვაციების ხელშეწყობა – 20 მილიონი ლარი;

ტურიზმის ხელშეწყობა – 30 მილიონი ლარი.

ბუნებრივია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფა ცალკეულ ფერმერებზე, ფერმერთა გაერთიანებებსა და ამა თუ იმ მეწარმეზე მოხდება ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მათი საქვეუწყებო სააგენტოების მიერ, რასაც ყურადღებით უნდა მივადევნოთ თვალი. აქვე გთავაზობთ რამდენიმე ინტერნეტ საინფორმაციო პორტალის მისამართს, სადაც ამ თემებზე საჭირო ინფორმაციების მიღება შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ ჩვენს მოქალაქეებს.

სოფლის განვითარების სააგენტო www rda. gov. ge

ფერმერთა პორტალი www my. mepa. gov. ge

ელექტრო ბიბლიოთეკა www elibrary. mepa. gov.ge

მამა-პაპის ნაფუძარზე

(ნარკვევი)

საქართველოს უახლეს ისტორიაში თავისი სისასტიკით და დრამატიზმით 1956 წლის 9 მარტი გამორჩეულია. ეს მაშინ მოხდა, როცა საბჭოთა კავშირის იმდროინდელმა ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინი პიროვნების კულტად გამოაცხადა. დაიწყო მთელი კავშირის მასშტაბით სტალინის ძეგლების, ბიუსტების და საერთოდ მასთან დაკავშირებული ყველანაირი მატერიალური ფასეულობის რბევა. თბილისში, ახლანდელი თავისუფლების მოედანზე, მაშინ გაღმერთებული და ბელადად შერაცხული ამ პიროვნების უზარმაზარი ძეგლი იდგა. თუ რატომ იყო გაღმერთებული ეს საუბრის ფართო თემაა. მოკლედ, რომ ვთქვათ, სტალინი იყო გენია, რომლის უბადლო ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა, მსოფლიო ბატონობაზე მეოცნებე გერმანული ფაშიზმი, ოთხწლიან უსასტიკეს ომში, საკუთარ ბუნაგში გაანადგურა. ამას რომ თავი დავანებოთ სტალინი, იგივე სოსო ჯუღაშვილი ქართველი იყო და მისი ძეგლის აღება ქართულმა საზოგადოებამ ეროვნული ღირსების შელახვად მიიჩნია.

9 მარტის იმ ნავსიან დღეს მეხივით გავარდა ხმა თბილისში, სტალინის ძეგლს იღებენო. ზღვასავით დაიძრა ხალხი ძეგლისაკენ. განსაკუთრებით სტუდენტი-ახალგაზრდობა აქტიურობდა. სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი იარუსებად შემოეკრა ძეგლს. მალე გამოჩნდა კბილებამდე შეიარაღებული სპეცდანიშნულების პოლკის მოიერიშეები და ავტომატების ჯერი მიუშვეს ერთ მასად ქცეულ მანიფესტანტებს. ცოტა ხანში ძეგლის ირგვლივ ცოდვის კალო დატრიალდა. მკვდარ-ცოცხალი ერთმანეთში აირია, მდინარე მტკვარის კალაპოტისაკენ სისხლის ნაკადულები მიწანწკარებდა. ამ ტრაგიკულ დღეს უამრავი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ერთეულები თუ გადაურჩნენ სიკვდილს, მაგრამ ვაი ასეთ გადარჩენას, მთელი ცხოვრების მანძილზე გულით ატარებდნენ ჭრილობას მიყენებულის იმპერიული უღლისაგან, რომელიც გაცილებით მტკივნეული იყო თითოეულისათვის, ვიდრე ის ჭრილობები, რომლებიც მე-20 საუკუნის ვანდალებმა მიაყენეს მათ სხეულს. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ სამედიცინო ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტი, ჩვენი რაიონის მკვიდრი, გოგი ქავთარაძე. დაჭრილ-დასახიჩრებული მისი სხეული თითქმის ხელახლა ააწყვეს ხელმადლიანმა დასტაქრებმა. სიკვდილს კი გადაურჩა, პატრიოტული გრძნობებით აღვსილი, გმირული სულის ახალგაზრდა, მაგრამ მთელი ცხოვრება თითქმის ხეიბარი დარჩა. 2 ყავარჯნით როგორღაც ახერხებდა გადაადგილებას. ინსტიტუტი დაამთავრა, მშობლიურ თერჯოლას დაუბრუნდა და მაშინდელ რაიონულ საავადმყოფოში დაიწყო მუშაობა ექიმ-კარდიოლოგად. ისეთ შესანიშნავ გულის მკურნალად ჩამოყალიბდა მეზობელი რაიონებიდანაც კი აკითხავდნენ პაციენტები.

სამაგალითო, ტრადიციული ქართული ოჯახიც შექმნა კეთილშობილ მანდილოსან ციური გურეშიძესთან. 2 შვილი შეეძინათ ზვიადი და მარიამი, რომლებიც ამ ოჯახის სიამაყენი გახდნენ.

შვილები იყო რომ უიოლებდა ცხოვრებას გოგი ექიმს. პაციენტების მადლიერება იყო, რომ აღავსებდა სიხარულით, უძლიერებდა პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი მოვალეობისას. სამწუხაროდ, თბილისისაკენ სასწრაფოს მანქანით მიმავალი რამდენიმე კოლეგასთან ერთად, მძიმე ავარიაში მოჰყვა და... მაინც ტრაგიკულად დასრულდა, მისი მრავალჭირნახული სიცოცხლე. ზვიადი ამ დროს მხოლოდ მე-6 კლასის მოსწავლე იყო. ადრიდანვე მოუწია ეზიდა ოჯახური საპატიო ტვირთი. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურის გამო (იგი მამის კვალს გაჰყვა და ექიმი გახდა) დედაქალაქში მოუწია ცხოვრებამ, არ გაუცივებია მამა-პაპური კერა, როგორც შეეძლო უვლიდა და ელოლიავებოდა მას. რუსთაველის ქუჩაზე „იმერმედის“ მიმდებარედ, ყოველთვის იპყრობდა ყურადღებას ორსართულიანი, ე.წ. შუშაბანდებიანი იმერული ოდასახლი, რომელიც ქალაქის ახალნაგებობებს შორის ისე გამოიყურებოდა, როგორც ღირსშესანიშნავი სამუზეუმო რელიქვია. ამ სახლში სიცოცხლე არასოდეს ჩამქრალა. ქავთარაძის მამა-პაპური ეზო-გარემო ქალაქის ცენტრში, კომერციული თვალსაზრისით საინტერესო იყო, ამიტომ საკმაოდ ბევრს სურდა მისი შესყიდვა და დასაკუთრება. ეგ აქ გამჩერებელი მაინც არ იქნებაო ფიქრობდნენ ზვიადზე, გაყიდის ალბათო და ვინ არ აკითხავდა, უკვირდათ უარს რომ იღებდნენ.

ერთ გრიგალქარიან ღამეს სახლი ცეცხლის ალში გაეხვია. უმალ გაჩნდა სახანძრო სამსახური, მაგრამ ცდა გადაერჩინათ ნაგებობიდან რაიმე უშედეგო აღმოჩნდა. მიზეზი ხანძრის გაჩენისა ვერ დადგინდა. იყო სხვადასხვა ვერსია. მათ შორის ისიც, რომ თითქოს ვიღაც უკეთურმა მოიმოქმედაო ეს ავი საქმე. ვერსია-ვერსიაა და დამწვარ სახლს რაღას უშველიდა. ღმერთმა შეუნდოს, ვინც იყო (თუკი იყო ასეთი) მთავარი ისაა, რომ ზვიადს არც ამ შემთხვევის შემდეგ უფიქრია ადგილის გაყიდვა. ეგ კი არადა, მამა-პაპის ნაფუძარზე ისეთი კოხტა, თანამედროვე სტილის ნაგებობის მშენებლობას შეუდგა ლაზათს და სილამაზეს რომ შესძენს ქუჩასაც და ქალაქის არქიტექტურას.

გვქონდა საშუალება შევხვედროდით ზვიადს, დაგვეთვალიერებინა მშენებლობა.

მამა-პაპური სახლი რომ დაიწვა და დაინგრა, გვითხრა მან, გულში რაღაც ჩამწყდა, გამიჭირდა გადატანა, სახლის ყოველი კუთხე-კუნჭული, ყოველი ნივთი, ჩემს ბებია-ბაბუას და ჩემს მშობლებს მაგონებდა. ყოველთვის ვცდილობდი ეზორიადაგე არ გამეციებინა, რაც შემეძლო ყურადღებას ვაქცევდი. ჩემსას კი არადა, რომ ვხედავ აქა-იქ ბოქლომდადებულ სახლებს, გავერანებულ ეზოებს გული მიკვდება... ამას თავმოწონებისა და მითუმეტეს ვინმეს განკითხვისათვის არ ვამბობ, ღმერთმა დამიფაროს ასეთისაგან. არაა იოლი სხვა ქალაქში ცხოვრობდე (არაფერს ვამბობ უცხოეთში გადახვეწილზე) და მამა-პაპურ რიადაგესაც უვლიდე. მეც ძალიან გამიჭირდებოდა, რომ ახლობლები არ მეხმარებოდნენ, მითუმეტეს ახალი სახლის აშენებაში. ეგ კია, ამის დიდი სურვილი და სიყვარული უნდა გქონდეს. როგორ არ მიჭირდა ხოლმე ეკონომიკურად, მაინც ვერ შეველიე ადგილს გასაყიდად. ვიცი ამას ჩემი მშობლები არ მომიწონებდნენ, იმ მარადიული სამყოფელიდან გამკიცხავდნენ.

როგორც ხედავთ სახლი დამთავრების სტადიაშია, ყოველი ნიუანსი გათვალისწინებული მაქვს, ვფიქრობ კარგი გამოვა. ეზო ხეხილ-ნარგავიანია, ზედ მდინარე ჩხარას პირამდე ჩადის და მშვენიერ ლანდშაფტს ქმნის, აქ სიარულსა და სეირნობას როგორ მოუშლი შთამომავლობას.

სტუდენტობის შემდეგ დავოჯახდი. ჩემს რჩეულ თიკა ოთარაშვილთან ერთად შევქმენი ოჯახი. გვყავს ქალიშვილი. აქამდე სიამ-ტკბილობით მოვედით, ღმერთმა ნურც მოგვიშალოს. მოვა დრო მთლიანად თერჯოლაში გადმოვსახლდები, მშობლიურ რაიონს არასოდეს მივატოვებ. ამის პასუხისმგებლობა სასურველია ყველას ჰქონდეს. „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე რაა მამული“-ო, რომ ამბობდა სასიქადულო პოეტი, მამულის და სოფლის სიყვარული ათქმევინებდა ამას, ჩვენც ანდერძივით დაგვიტოვა. ვინ როგორ შეასრულებს, ეს უკვე ამა სოფლად თითოეულ ფეხადგმულზეა დამოკიდებული.

ი. ერაძე

სასარგებლო ტრადიცია ორწლიანი პაუზის შემდეგ განახლდა...

6 ☞

ავთანდილ აბულაძე: „სოფლის მეურნეობა ყველა ქვეყნისთვის პრიორიტეტული დარგია. ასევეა საქართველოსთვისაც. სოფლის მეურნეობის განვითარებაშო უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე მანქანა-დანადგარების აქტიურ გამოყენებას მიწის დამუშავებასა და მოწეული მოსავლის დაბინავება-გადამუშავებაში.

ბუნებით ინტერესიანი ადამიანი ვარ. მიყვარს კონკრეტულ საქმეზე თუ ტექნიკაზე ჩაძიება-ჩაკირკიტება. რაღა დავმალო და ბევრჯერ ჩავვარდნილვარ თითქოსდა გამოუვალ მდგომარეობაში ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლის გამო, მაგრამ გამოსავალი მაინც მიპოვნია.

ფაქტია, რომ ყოველთვის პრობლემაა სათადარიგო ნაწილები,

ისინი ან უსაშველოდ ძვირია, ანდა ოპერატიულად ვერ იშოვი. იძულებული ვხდები ინდივიდუალურად გავაკეთო, რაღაც შევადუღო, რაღაც ხარატს გამოვაჩარხინო და ა.შ. და ა.შ.

გამოფენაზე ჩემი მოწონება დაიმსახურა სხვადასხვა ქვეყნიდან წარმოდგენილმა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკამ, განსაკუთრებით ხორბლის კომბინირებულმა სათესმა აგრეგატმა.

ძალიან მოსაწონი და საინტერესოა ასეთი გამოფენა-გაყიდვები. მხოლოდ ერთი რამ მინდა აღვნიშნო, რომ ყველა წარმოდგენილი ტექნიკა იყო უცხოური ქვეყნების წარმოებული. ვისურვებდი, მომავალ წელს გამოფენაზე წარმოდგენილი იყოს საქართველოში დამზადებული თანამედროვე სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და მანქანა იარაღები“.

გელა დადუნაშვილი: „ექსპო-ჯორჯიას“ პირველად არ ვსტუმრობდი. ეს გამოფენები ყოველთვის საინტერესო იყო. ორი წელი გავიდა, რაც კოვიდპანდემიის გამო ასეთი გამოფენა არ მოწყობილა. სიმართლე გითხრათ, ბევრ საინტერესოს ველოდი. ბევრი რამ ვნახე და შევიტყვე კიდეც. გამიკვირდა, რომ გამოფენაზე უკრაინაც ღებულობდა მონაწილეობას, თანაც საინტერესო ექსპოზიციით. ყოჩაღ მათ, რომ საომარ მდგომარეობაში მყოფებმა ეს მოახერხეს.

რა თქმა უნდა, ყველაფერმა დამაინტერესა, განსაკუთრებით კი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკამ, შხამქიმიკატებმა, მინერალურმა სასუქებმა.

კარგია, რომ საგამოფენო პავილიონის ერთ-ერთ სექციაში, კომპანიის წარმომადგენლებთან ჩვენ ადგილზევე მივაღწიეთ შეთანხმებას, რომ ისინი უფასოდ მოგვაწოდებენ ჩვენს მიერ არჩეულ შესაწამლ პრეპარატებს, რომლებსაც ერთად გამოვცდით და გავუწევთ პოპულარიზაციას.

სოფელს და ფერმერს დახმარება სჭირდება არა მარტო გამოფენებითა და კონსულტაციებით, არამედ შეღავათიანი კრედიტებით, გრანტებით. კარგია, რომ სამომავლოდ, ქვეყნის ბიუჯეტში ასეთი თანხები გათვალისწინებულია. იმედი მაქვს, რომ მათ ჩვენც მოვიპოვებთ“.

სასწავლო სამუშაო ვიზიტი პოლონეთში

საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკა“ არის არაკომერციული, არამომგებიანი ასოციაცია, რომელიც 1996 წელს დაფუძნდა. ორგანიზაციის მიზანია, საქართველოში ღია, ეფექტური და დემოკრატიული მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებისათვის ხელისშეწყობა, საზოგადოების გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეების დონის ამაღლება და თემის განვითარების მხარდაჭერა.

2007 წლიდან ასოციაციის ერთ-ერთი პრიორიტეტია სკოლამდელი განათლება, როგორც ადგილობრივი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა. ამ ორგანიზაციის „ალტერნატიული სკოლამდელი განათლების მოდელი“ საფუძვლად დაედო სასკოლო მზაობის ეროვნულ პროგრამას. აღნიშნული პროგრამით მიმდინარეობს 5-6 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფებში სასწავლო პროცესი.

რამდენიმე წელია თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი „კივიტას გეორგიკას“ ასოციაციის წევრია. ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა მრავალი სასწავლო პროგრამა, მოეწყო შეხვედრები, რომელთა მიზანია საქართველოში სკოლამდელი განათლებისადმი მხარდაჭერა და თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება, სიახლეების დანერგვა. ახლახან, თერჯოლის სკოლამდელო აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი მაია თორთლაძე ერთკვირიანი სასწავლო-სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა პოლონეთში. გვესაუბრება ქალბატონი მაია.

„პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, პოლონურ ორგანიზაცია EDUKATORთან ერთად, საქართველოს სკოლამდელი განათლების ეროვნული ასოციაციის პარტნიორობით განხორციელდა პროექტი „თითოეული ბავშვისათვის სკოლამდელი განათლების ადგილობრივი პოლიტიკის სისტემური მხარდაჭერა“. პროექტი გრძელდება 2023 წლის ბოლომდე. ამ პროექტში მონაწილეობას იღებს 10 მუნიციპალიტეტი. პროექტის ფარგლებში გასულ პერიოდებში თერჯოლის №1 და №2 საბავშვო ბაგა-ბაღებში მოეწყო რესურს ოთახები, აღიჭურვა იგი თანამედროვე საბავშვო ინვენტარით, ავეჯით, საგანმანათლებლო რესურსით, აუდიოტექნიკით, ბაგა-ბაღის აღმზრდელებს, მუსიკის პედაგოგებს, დირექტორებს ჩაუტარდათ ტრენინგები სხვადასხვა თემებზე. ჩატარდა სემინარები, ვებინარები დიდი აუდიტორიისთვის. №1 საბავშვო ბაღს გადაეცა ეზოს სათამაშოები და მოეწყო ეზოს გარკვეული ნაწილი.

საქართველოს 10 მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ხელმძღვანელთა სამუშაო ვიზიტი პოლონეთში, რომლის მიზანი იყო პოლონური საგანმანათლებლო მდგომარეობის გაცნობა და გამოცდილების გაზიარება, ნაყოფიერი იყო. პირველი ვიზიტი შედგა პოლონეთის ქალაქ ეიკში, მოვინახულეთ მუნიციპალური და კერძო ბაღები, მთელი დღე ვეცნობოდით მათ სამუშაო პროცესებს, ბაღების ინფრასტრუქტურა მოწყობილია უნიკალური დიზაინის პრინციპით.

ბავშვები და აღმზრდელები უზრუნველყოფილნი არიან უზღვავი რესურსით, სათამაშოებით და კეთილმოწყობილი ეზოებით. შევხვდით და მთელი ვიზიტის პერიოდში გვმასპინძლობდა ქალაქის მერი. მერიაში ვიზიტის დროს ბატონმა ტომაშ ანდრუკევიჩმა ისაუბრა თუ როგორ განკარგავს მერია საბავშვო ბაღებს და რა მხარდაჭერას სთავაზობს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

ვიმყოფებოდით ქ. ელკის ისტორიულ მუზეუმებში. გავეცანით თუ რა საგანმანათლებლო სერვისებს სთავაზობს მუზეუმი სკოლამდელი ასაკის ბავშვებს და მშობლებს. მუზეუმის ეზოდან სპეციალური მატარებლით ბავშვები გაჰყავთ ქალაქგარეთ, სადაც მათთვის მოწყობილია გასართობი სივრცითი გარემო. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუნიციპალურ ბაღში „მზიანი რვიანი“-ში სტუმრობამ, დავათვალიერეთ მარიამ მონტესორის სენსორული ბაღი შესანიშნავი ინფრასტრუქტურით. სენსორული ეზო საუკეთესოა. ამ ეზოს მიხედვით შესაძლებლობის ფარგლებში უნდა მოეწყოს ჩვენი ბაღის ეზოები—სენსორული ბილიკები, გვირაბები, მოედნები.

მოვინახულეთ საბავშვო ბაღი „მარგალიტი“, ინფრასტრუქტურის სტანდარტები ამ ძველებურ შენობაში დაცულია, დავესწარით აქტივობებს, სადაც დიდი ყურადღება დაეთმო კომპიუტერული პროგრამების უნარ-ჩვევების განვითარებას თამაშით.

განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საბავშვო ბაღ „სვიატელიკო“-ში სტუმრობამ. აქ გავეცანით თუ რა სერვისს სთავაზობს ბაღი სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს. აქ, ადგილზე სპეციალისტები, ბაღის აღმზრდელებთან ერთად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს, მკურნალობის კურსს და ეს ბავშვები სხვა ბავშვებთან ერთად ჩართულნი არიან ყოველდღიურ საქმიანობაში. მშობლების მხრიდან დიდი ინტერესია ამ ბაღის მიმართ, რადგან ბავშვის განვითარების რაიმე შეფერხების შემთხვევაში სწრაფ რეაგირებას ახდენენ სპეციალისტები.

ქ. ვარშავაში მოვინახულეთ რამდენიმე ბაღი. ერთ-ერთი „მწვანე ბაღი“, რომლის ეზო მთლიანად დატვირთულია სივრცეებით. ადგილზე ჰყავთ ცხოველები, ფრინველები, აქტივობები ძირითადად ეზოში მიმდინარეობს. აქ არის უამრავი ეზოს სათამაშო, ინვენტარი. ამ მიმართულებით პატარებს აქვთ სამოსი.

ქ. ვარშავაში უკრაინელი ბავშვებისათვის შექმნილ გარემოში ვიმყოფებოდით, აქ მათ დიდი მხარდაჭერა და თანადგომა აქვთ“— გვითხრა ქალბატონმა მაიამ და მიაჩნია, რომ პოლონეთში სამუშაო ვიზიტით მიღებული შთაბეჭდილებები და ნანახი საშუალებას იძლევა საუკეთესო იდეების თუ გარემოს მოწყობის კუთხით დანახული სიახლეები, შესაძლებლობებიდან გამომდინარე დაიწყოს ჩვენს ბაღებში, ისე, რომ ბაგა-ბაღის გარემო პირველ რიგში ფიზიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური უნდა იყოს ბავშვებზე ორიენტირებული, უსაფრთხო და განმავითარებელი. ამ მიმართულებით ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი კეთდება, აშენდა თანამედროვე სტანდარტების 7 ახალი ბაღი, 2023 წლისათვის დაგეგმილია ახალი პროექტის განხორციელება, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს და ხელმისაწვდომს გახდის ბაღს ყოველი ოჯახისათვის“. აქტიური მონაწილეობა შეხვედრებში, ტრენინგებში, ვებინარებში, სასწავლო პროგრამებში, რომლის მიზანს წარმოადგენს საქართველოში სკოლამდელი განათლების განვითარებისა და მხარდაჭერისათვის თანამშრომლობა, საკუთარი გამოცდილების გაზიარება, სიახლეების დანერგვა ბავშვებზე ზრუნვის მიმართულებით—ხელს გვიწყობს უკეთ მუშაობაში“.

ესაუბრა
ჟუჟუნა ცხადაძე

„შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეთ“

არცთუ დიდი ხნის წინ „იმერმედის“ დამფუძნებელმა ვლადიმერ კეპულაძემ თქვა, რომ მუნიციპალიტეტის და მეზობელი რაიონების მოსახლეობას ექნებოდა სამეანო პროფილით ეფექტური და ხელმისაწვდომი სერვისის მიღების საშუალება. ითქვა და შესრულდა—კლინიკა „იმერმედ“-ში ფუნქციონირებს სამშობიარო სახლი—მეორე დონის პერინატალური მედიცინის ცენტრი. 2020 წლის სექტემბერში აქ პირველი ბავშვი დაიბადა—გაიხსნა ახალშობილის სამედიცინო ბარათი №1.

სრული ათი წელი იყო თერჯოლა სამშობიარო სახლის

გარეშე. გვენატრებოდა ხალხმრავლობა სამშობიარო სახლის ეზოში, მახარობლის ჩამოსვლა და მთვრალ-ფხიზელ მამების და მისი „ძმაკაცების“ მიერ მანქანების „კაპოტზე“ გაშლილი სუფრა და შამპანური, თოფის გავარდნა ოჯახებში და პოლიციის მიერ ამ შემთხვევის „დანდობა“. მეც და გაზეთ „თერჯოლის“ სხვა თანამშრომლებიც ყოველი ახალი წლის გვიან ღამეს ან დილით გამთენიას სამშობიაროს წინ ვმდგარვართ თოვლსა და ყინვაში, რათა გაზეთის ახალი წლის პირველ ნომერში მისი პირველი გვერდი დაბადებულის მილოცვით დაგვეწყო. „თერჯოლამედშიც“ გვქონდა ეს სიხარული—2020 წელში ჯერ სამშობიაროს გახსნა, მალე პირველი გოგოს დაბადება ვაუწყეთ მკითხველს...

სამშობიაროში არის საწოლი შესაძლო პათოლოგიურ ორსულთათვის, ახალშობილთა ინტენსიური მოვლის პალატა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ფიზიოლოგიური მშობიარობა და საკეისრო კვეთა (ჩვენების მიხედვით) არის უფასო. ქალთა კონსულტაციაში აღრიცხვაზე მყოფი ყველა ორსული, ანტენატალური კომპონენტის ფარგლებში სარგებლობს უფასო კონსულტაციით და კვლევებით.

სამშობიაროში ფუნქციონირებს მშობელთა სკოლა, სადაც მომავალ დედებს უტარდებათ ლექციები ორსულობის მიმდინარეობაზე, მშობიარობის პროცესზე, ახალშობილთა მოვლაზე და ძუძუთი კვების უპირატესობაზე.

სამშობიარო სახლში არის კომფორტული და საიმედო გარემო. ყველა პალატა აღჭურვილია ტელევიზორით, ინტერნეტით, ინდივიდუალური სველი წერტილებით. სურვილის შემთხვევაში მამას შეუძლია შესაბამისი უსაფრთხოების და ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვით დაესწროს როგორც მშობიარობის პროცესს, ასევე იმყოფებოდეს ინდივიდუალურ პალატაში დედასთან და ახალშობილთან ერთად.

ახალშობილთა განყოფილება ინტეგრირებულია ახალშობილთა მოვლისა და სპეციალური სერვისებით, ადგილზე წარმოებს ახალშობილთა იმუნიზაციის ნეიროსონოსკოპიის, კარდიოექოსკოპიის და სმენის სკრინინგის კაბინეტები. საჭიროების შემთხვევაში ახალშობილთა რენტგენოლოგიური კვლევა ხორციელდება ნეონატალური რენტგენო-აპარატით.

სამშობიაროში ყოფნისას დედა და ახალშობილი, ხელოვნური კვების შემთხვევაში უზრნველყოფილია კვებით, ყველა შემთხვევაში ჰიგიენური საშუალებებით და თეთრეულით. მშობიარობის შემდეგ კი დედებს და ჩვილებს გაწერიდან 28 დღის მანძილზე მეანგინეკოლოგისა და ნეონატოლოგის კონსულტაცია უტარდებათ უფასოდ.

კლინიკაში ფუნქციონირებს სამეანო ულტრაბგერითი კაბინეტი და ლაბორატორია, ორსულის, მელოგინის, გინეკოლოგიური პაციენტისა და ახალშობილისათვის საჭირო კლინიკური, ბიოქიმიური, იმუნოლოგიური, სეროლოგიური, მიკრობიოლოგიური და მოლეკულური ლაბორატორიული კვლევები.

სულ ცოტა ხნის წინ კლინიკაში არსებობდა სახელმწიფო სტანდარტით დაწესებული გადასახადი, დღეს ეს სტანდარტი აღარ არსებობს, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა სრულად ხორციელდება. სამშობიარო სახლის თითოეული თანამშრომელი არის მაღალი კვალიფიკაციის, თითოეულში საქმის სიყვარულია. აქ ყველაფერი კეთდება დედებისა და ახალშობილების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. ნანატრი ოცნება ასრულდა—ახალ სამშობიარო სახლში ხშირად ისმის ახალშობილთა ტირილი—დაბადების მაუწყებელი და სიხარულის მომტანი, აქ ხშირად ისმის შეძახილები—ბიჭია, ბიჭი და უფრო მოკრძალებული—გოგოა, გოგო.

დაბადების საიდუმლოს, მის მარადიულობას და შეუცნობლობას მიესადაგება დიდი პოეტის შოთა ნიშნიანიძის მშვენიერი სტრიქონები—„შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეს, მტრედის ღუღუნი და მუხის ჩერო, ჩხებით, აკვნებით და ბუდეებით, ამაღლდი, ჩვენო ფუძევ და ჭერო!“

სამშობიარო სახლის ხელმძღვანელი, ექიმი და მეან-გინეკოლოგი სალომე თურმანიძე, ქალთა კონსულტაციის და გინეკოლოგიური მიმართულების ხელმძღვანელი, ექიმი მეან-გინეკოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ბაკურ სალდაძე, ნეონატოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი ექიმი ნეონატოლოგი, პედიატრი მაია კვეტენაძე—ერთი მიზნით და ერთი სულისკვეთებით მუშაობენ და როგორც კვალიფიციური სპეციალისტები, მიზანსაც აღწევენ, მთელი ყურადღება მშობიარეზე და ახალშობილზეა გადატანილი, სამშობიარო სახლის თითოეული თანამშრომლის მზერა მიპყრობილია მომავლისაკენ...

და ჰყავთ მრავალი მადლიერი დედა, ჩვენ ერთ-ერთს ნინო ხარაზიშვილს გავესაუბრეთ.

ნინო ხარაზიშვილი ბორჯომელია, ზედა სიმონეთელ ჯუმბერ ბერუაშვილის მეუღლე. მეორე შვილს ელოდებოდა—18 ოქტომბერს უნდა დაბადებულიყო, მაგრამ... 11 სექტემბერს ძლიერი სისხლდენით შეიყვანეს თერჯოლის სამშობიარო სახლში, სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, მაგრამ ექიმების ძალისხმევით ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა—საკეისრო კვეთით ბიჭი ამოიყვანეს, ნინომ ოთხი დღე დაჰყო სამშობიაროში, პატარა რეზი ინკუბატორში მოათავსეს... დედა-შვილი ახლა სახლშია, ორივე ჯანმრთელად და კარგად არის.

ნინო და ჯუმბერი, ოჯახის ყველა წევრი დღეს ბედნიერია, პატარას მშვიდობიანად მოვლენას ისინი თერჯოლის სამშობიარო სახლის ექიმებს და სხვა პერსონალს უმადლიან, რომლებმაც ორივე—დედაც და შვილიც გადაარჩინეს, დიახ, გადაარჩინეს, ოპერაცია რთული იყო.

ნინო ხარაზიშვილი ოჯახის სახელით მადლობას უხდის: მეან-გინეკოლოგებს: სალომე თურმანიძეს, ბაკურ სალდაძეს, მაია კვეტენაძეს, მედდას თამარ პაპავას, ანესთეზიოლოგ გივი კოჭლამაზაშვილს, მედდას ელენე ჭედიას, საოპერაციო მედდას ლელა სოფრომაძეს.

ნინოს ძლივს გაუთავდა ჩამონათვალი, იგი მადლობას უხდის სამშობიარო სახლის თითოეულ თანამშრომელს, მთლიანად კლინიკა „იმერმედს“. „ბედნიერებაა, რომ არსებობს „იმერმედი“—თქვა მან ჩვენთან ბოლოს.

ჟუჟუნა ცხადაძე

მომავალ წელში ხელფასები და სოციალური დახმარებები გაიზრდება...

თუ ვის რამდენი ლარით ეზრდება ხელფასი მომავალი წლიდან, ყველა მოქალაქეს აინტერესებს.

ეს ინფორმაცია დეტალურადაა მოცემული 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში, რომელიც საქართველოს პარლამენტს მთავრობამ წარუდგინა.

რამდენით იზრდება პენსია და ხელფასი ამ დოკუმენტის მიხედვით? ხელფასების ზრდა დაგეგმილია:

თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით:

თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება 2022 წლის პირველად ბიუჯეტთან შედარებით იზრდება 490,0 მლნ ლარზე მეტით. მათ შორის პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასების 20%-ით გაზრდის მიზნით გათვალისწინებულია 290,0 მლნ ლარზე მეტი; ზოგადად, მთლიან საჯარო სექტორში გათვალისწინებულია ხელფასების 10%-იანი ზრდა, თუმცა არსებული გამოწვევების ფონზე, პოლიციელებისა და ჯარისკაცების ხელფასი ორჯერ უფრო -0:03 მეტით გაიზრდება, ვიდრე სხვა საჯარო დაწესებულებებში.

მოხელეების ანაზღაურება;

— პოლიციელებისა და ჯარისკაცების სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის ასევე გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების მშენებლობა;

— გარდა ამისა, მნიშვნელოვანი რესურსია გათვალისწინებული თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების, პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურების ეფექტური ფუნქციონირებისათვის;

სოციალური მიმართულება - პენსიები და სოციალური დახმარებები

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 770,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია:

— 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთა პენსია იზრდება 65 ლარით და განისაზღვრება 365 ლარის ოდენობით. ამავე კატეგორიის პენსიონერთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 440 ლარს გაუტოლდება;

— 70 წლამდე პირთა პენსია იზრდება 35 ლარით და განისაზღვრება 295 ლარის ოდენობით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში თითქმის 355 ლარს გაუტოლდება;

— გარდა პენსიისა, გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული შშმ პირების სოციალური გასაცემლის ზრდა 65 ლარით, ხოლო დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა გასაცემლის ზრდა 35 ლარით;

— გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივნისიდან 150 ლარამდე გაზრდილი ბავშვთა სოციალური დახმარების სრული წლის დაფინანსება;

— დევნილთა სახლების უზრუნველყოფის კუთხით იწყება 7 000 ბინაზე გათვლილი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა, რისთვისაც 2023 წელს გათვალისწინებულია 250,0 მლნ ლარზე მეტი.

განათლების მიმართულებით

განათლების და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება გაზრდილია 290,0 მლნ ლარზე მეტით, რომლის ფარგლებში:

— საჯარო სკოლების მასწავლებელთა დანამატი იზრდება 125 ლარით;

— ასევე 125 ლარით იზრდება მანდატურების ხელფასებიც;

— გათვალისწინებულია საჯარო სკოლების ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა;

— გათვალისწინებულია პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა საათობრივი ანაზღაურების ზრდა (15-დან 18 ლარამდე);

— იწყება 500-ზე მეტი საჯარო სკოლის რეაბილიტაცია და მშენებლობა, რისთვისაც 2023 წელს გათვალისწინებულია 300,0 მლნ ლარამდე;

— მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 75,8 მლნ ლარი. გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებულთა ხელფასების 10%-იანი ზრდა;

— ინკლუზიური განათლება - 42,6 მლნ ლარი. პროგრამის ფარგლებში მასწავლებლების ანალოგიურად გათვალისწინებულია სპეც. მასწავლებლების ანაზღაურების ზრდა 125 ლარით;

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების 100 ლარიანი ზრდა.

2023 წელს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდა განხორციელდება 10%-ით, გარდა პოლიციელებისა და ჯარისკაცებისა, რომელთა ხელფასები გაიზრდება 20%-ით.

პროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია სასწრაფოს დახმარების სამსახურის პერსონალის ხელფასების 10%-იანი ზრდა, ხოლო სოფლის ექიმებისა და ექთნების ანაზღაურების 100 ლარით ზრდა.



მურმან ლებანიძე 100

არიან კაცნი—
მცხოვრებნი წარსულით,
არიან კაცნი—
მცხოვრები აწმყოთი,
მომავლის ოცნებით
მე ვიყავ ჯვარცმული,
კოშკებს მომავლისას
ვშლიდი და ვაწყობდი...

მურმან ლებანიძე დაიბადა 1922 წელს 14 ნოემბერს, აზერბაიჯანის დაბა აღსთაფაში. 1940 წელს სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე (დაამთავრა 1948 წელს). 19 წლის ასაკში გაიწვიეს ჯარში, მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომში; 1943 წელს მძიმედ დაიჭრა და დაბრუნდა თბილისში. 1946 წლიდან მუშაობდა საყმაწვილო-სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის მთავარ რედაქტორად. 1978 წლიდან შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი და თავმჯდომარეა.

ლირიკული ლექსების პირველი კრებული 1950 წელს გამოაქვეყნა.

მურმან ლებანიძე ნაყოფიერად მუშაობდა მთარგმნელობით სფეროშიც. მან თარგმნა იაპონური, კლასიკური და ძველი ეგვიპტური პოეზიის ნიმუშები, რედიარდ კიპლინგის, რობერტ ბერნსის ლექსები, შექმნა რუსული კლასიკური პოეზიის მიკროანთოლოგია (კრებული „უკვდავი ყვავილები“, 1971).

1972 წელს მურმან ლებანიძეს მიენიჭა შოთა რუსთაველისა და გალაკტიონის სახელობის პრემიები. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით. 1995 წელს აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ.

გარდაიცვალა 2002 წლის 17 აგვისტოს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

როგორ გარბის დრო...

მურმან ლებანიძე ხალხის პოეტი იყო, საყვარელი პოეტი.

განსხვავებულად წერდა: თვალს ჩაავლებდით მის ლექსს და ეს ლექსი მერე თან დაგყვებოდათ:

„უფლისციხესთან სისხლისფერი
ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის—დასაღვრელის
ალბათ, მაცნეა,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!“

ან...

„ეს სოფლები—ეს ლიქოკი, ეს არხოტი,
ცარიელი ეს პარტახი საიგავო.
მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი
სხვა არავინ მოვიდეს და დაესახლოს.
შქერს სათიბზე არ დავობენ
მეზობლები,
ძაღლი არ ჰყეფს, ძაღლი არ ჰყეფს
ბარისახოს,
ვაი თუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,
ვაი თუ ვინმე მოვიდეს და
დაესახლოს!“

სამშობლო ტკიოდა პოეტს. სამშობლოს დარდი არ ასვენებდა...

უცნაური კია, გარდასულ საუკუნის ბოლო ათწლეულში ვინ აღარ სტუმრობდა თერჯოლას, გარდა ამ საოცარი უსათაურო ლექსის ავტორისა:

„გიყვარდა ლექსი, ისეთი ძალით,
სიტყვის ფერ-ხორცი, გემო, სიჭრელე,
რომ თითებშუა გაგექცა წყალი,
ცხოვრებით გული ვერ მოიჯერე!
გიყვარდა ხალხი ისეთი ძალით,
რომ საკუთარი დღე მოიწამლე!
ახლა მაგ ბუხარს აფიცხე ძვლები
ეგ ფერფლისფერი თმა შეიფერე!
ოთხმოციანი ჩამოდგა წლები
და ჩემი ცოდვით სავსე სიბერე!“

ერთი ბედნიერი გამონაკლისი კი ის იყო, რომ, სადღაც 1985 წელი იქნებოდა ალბათ, თბილისიდან რაჭაში მიმავალი თერჯოლაში „დავიჭირეთ“. ვინ ათხოვა ყური მის კატეგორიულ პროტესტს: „კაცო, სად მიგყავართ, ფიცი, რჯული ღვინოს აღარ ვსვამ, რაჭაში მივდივარ დამიღამდებაო“...

პირდაპირ ახალგარემონტებულ „ყირამალაში“ ამოვაყოფინეთ თავი...

ორი-სამი ჭიქის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ თურმე ვალტერ გოგიაშვილი, პოეტის შვილის ზაზას ძმაკაცი ყოფილა. გოლა ხიჯაკაძემ ჩაუკაკლა, რომ ისიც წერს „რაღაც-რაღაცეებს“, იუზა მარუაშვილმა თავი მოაწონა—პირდაპირ სკანდის ციხის ძირას ვცხოვრობო. წინამდებარე მოგონების მთხრობელიც არ ჩამორჩა სხვებს—ჩემი მამა-პაპის ფესვები რაჭაში მეგულებაო...

ეგ იყო და...

დაიწყო ერთი ხვევნა და კოცნა...

დაუვიწყარი შეხვედრა გამოგვივიდა...

საყვარელ პოეტს დაბადებიდან ასი წელი შეუსრულდა.

მისი სული კარგა ხანია ზეცაში ანგელოზებთან ფრენს...

ნუგზარ გამყრელიძე

---

* * *

დილის ბინდში
ვერის ხიდზე მოვხვდით...
თოვდა, თოვდა,
რა კარგია თოვა...
გადამიდგა
და ბოდიშის მოხდით
გამაჩერა,
სიგარეტი მთხოვა...
მივაწოდე,—
გაიხარა კაცმა,
მოვუკიდეთ,—
მთვრალი ვარო მითხრა,
გავაბოლეთ,—
გულის ფსკერზე დათბა,
სთქვა მადლობა,
რა დროაო, მკითხა...
მე ვუთხარი,—
ხუთი იყო დილის,
ხიდზე დავრჩი,
ის გავიდა გაღმა,
„ეჰეჰეი!“—
შეუძახა თბილისს
და ღიღინით
ვერის შეღმართს აჰყვა...
თოვდა, თოვდა,
სიგარეტი გვქონდა,
თოვდა, თოვდა...
რა კარგია თოვა...
რა კარგია—
რა ბევრი და ცოტა:
თოვლში კაცმა
სიგარეტი მთხოვა!

სინათლეს ვაქრობ...

დაძინებამდის
მე უნდა ვნახო
და ჩავიყოლო
სიზმარშიც თანა,
მთებში გაჭრილი
პატარა ახო,
ტყეში გაშლილი
პატარა ყანა...
სინათლეს ვაქრობ—
ქრისტესის ახლო
ბალამწარები
ტყისპირას დგანან,
მთებში გაჭრილა
პატარა ახო,
ტყეში გაშლილა
პატარა ყანა...
ოჰ, გმადლობ, ჩემი
სიზმრების ბაღო,
ჩემი ბავშვობის
უტკბესო ხანავ—
მთებში გაჭრილო
პატარა ახოვ!
ტყეში გაშლილო
პატარა ყანავ!

ქართველები
(იუმორესკა)

ხმამ, მსუყემ და ჯანიერმა,
მატარებელი შეჰყარა:
—„ქართველები?!
რაც ხალხი ვართ,
იცის ძამა,
ქვეყანამ!
ორი კაცი სუფრას შეიქმს,
სამი კაცი—
ქეიფს!
ოთხი კაცი—
არიფიონს,
ხუთი—
პარტიას!
ექვსი კაცი—
მანიფესტს ვწერთ,
შვიდი—
ქარტიას!..
ჩვენ რომ—ასეთი კაცი ვიყოთ,
ჩვენ რომ—
ერთი პირი გვქონდეს,
არ გვცალოდეს საქილიკოდ,
თან—
ბილიკიც ბილიკობდეს,
მაშინ, მაშინ...
—„რაი მაშინ?!“
—„რა და... ეუჰ, გიჟია!
მომაშორეთ აი ბავშვი,
ჩვენია თუ ალიფაშის,
თუ კაცი ხარ, ვისია?!
ჩემ თავს ველაპარაკები,
ჩემთვის ვყვები, ბიძია!“

* * *

ნოემბრის ცხრაა,
უკვე ცხრაც მიდის,
კი, ათი ჰქვია
ფეხადგმულ ხვალეს;
ღამის ხუთია,
ვხედავ მთაწმინდას,
ვხედავ მთაწმინდის
გაცრეცილ მთვარეს...
ავადმყოფ ღვინოს,
უკვე დაწმენდილს,
(მარტოდმარტო ვარ)
ჯერ ისევ მწარეს
ვსვამ, კრულვას ვუთვლი
ლაჩარს წარწყმენდილს,
და... ვადღეგრძელებ
სამშობლო მხარეს.

* * *

პუშკინმა სკვერი აირჩია,
ლერმონტოვს ჰკლავენ ტრამალში,
სიკვდილისაკენ გასწია
ლორდ ბაირონმა ლამანშით.
პეტეფიც მაგათ მხარშია,
ისიც ქარშია ფრთამალში,
გვწამს ფედერიკო გარსია—
უხორცოსავით მამაცი!
ვთქვათ, ტრაგედია არც კია:
თავგაყოფილი დრამაში
ვახსენოთ, ხარჯი-ხარჯია,
ესენინ, ბიჭი ლამაზი!
პოეტი—სხვაგან ასია,
საქართველოში—სამასი,
გალაკტიონი თავშია,
რაღა თქმა უნდა, ამაშიც...
დიდი პოეტი მსგავსია
და ყველა ერთი მთავარში:
სუყველა—დიდი ბავშვია,
უყვარს სიკვდილთან თამაში!

* * *

მე იმ დროს ვნატრობ,
ჩვენ რომ ვიქნებით,
რომ ვიქნებით და
რომ არ გავქრებით,
რომ გავიხარებთ
განძის მიგნებით,
კორდებს რომ მოვფენთ
ჩვენი აკვნებით.
მე იმ დღეს ვნატრობ,
ავდრების ბღავილს,
ამ პლანეტაზე
ქართვლისთვის გამწყრალს,
რომ ჩავაწყნარებთ
და ქართულ ყვავილს
რომ გავახარებთ
გამზრალს და გამჭკნარს.
და მიწის ბურთზე
მსაჯულის მკაცრის
და მიუდგომლის
პირით რომ ითქმის:
„დახე რას შვრება
ქართველი კაცი—
ეს აქამომდე
უცნობი თითქმის!“
იქნება ასე,
იტყვიან, მენდე,—
ესრეთ ვერ ივლის
ყისმათის ჩარხი,—
„სად ჭურში იჯდა,
სად იყო დღემდე
ეს მშვენიერი მამაცი ხალხი?!“
მე იმ დროს ვნატრობ:
ჩვენს ათას სტრიქონს
დაე, ცხოვრებაც
ჩვენი დაშვენდეს—
წყეულიმც იყოს,
წყეულიმც იყოს,
ვინც ცარიელა
ნატვრას დასჯერდეს!

ს პ ო რ ტ ი

წლის განმავლობაში ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის სპორტსმენები წარმატებით გამოდიან თერჯოლასა და სხვა ქალაქებში გამართულ სპორტულ ღონისძიებებში.

წარმოგიდგენთ ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებულ ასპარეზობებში მათ მიერ მოპოვებულ შედეგებს:

ქ. ზესტაფონი. ზესტაფონის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში. სანდრო ობოლაძე—მეორე ადგილი, საბა სულამანიძე, ზურაბ ბოჭორიშვილი, ვახტანგ ობოლაძე—მესამე ადგილი.

ქ. ცაგერი. კობა ქომეთიანის სახელობის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ზურაბ გავაშელაშვილი და გიორგი კუბლაშვილი—მესამე ადგილი.

ქ. ფოთი. ფოთის მერიის თასის გათამაშება ძიუდოში. ზურაბ ბოჭორიშვილი პირველი ადგილი, საბა სულამანიძე—მეორე ადგილი, სანდრო ობოლაძე და ნიკა ბრეგაძე—მესამე ადგილი. გიორგი დარსაძე—პირველი ადგილი, საბა სულამანიძე პირველი ადგილი. გიორგი კუბლაშვილი და ზურაბ ბოჭორიშვილი—მეორე ადგილი. დათო ხუჯაძე, გოჩა ლილუაშვილი, გიორგი თორთლაძე, დიმა რობაქიძე, გიორგი ლომიტაშვილი, საბა სარდანაძე—მესამე ადგილი.

თამაზ სოფრომაძის სახელობის თასი გადაეცა გიორგი დარსაძეს.

ვიტალი გაბიანის სახელობის თასის მფლობელი გახდა ქუთაისელი საბა ცქიფურიშვილი.

სპორტსმენები შეჯიბრებისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა: ლერი რობაქიძემ, ზურაბ გავაშელაშვილმა, მალხაზ თურქაძემ.

კორესპონდენცია მოგვაწოდა
სპორტსკოლის მთავარმა მწვრთნელმა
ელგუჯა გოგბერაშვილმა

კ რ ო ს ვ ო რ დ ი

ტურიზმი და ჩვენ



1. მოგზაურობა მხარის, ქვეყნის გაცნობისა და დასვენების მიზნით. 2. გოგნის წმ. გიორგის სახელობის სალოცავი. 3. ძველი ისტორიული ნაქალაქარი. 4. ღრმა და ვიწრო ხეობა. 5. ტურისტული მოგზაურობისათვის აუცილებელი ნივთების სატარებელი ჩანთა. 6. ნავენახევის... 7. ბალნეოლოგიური კურორტი... 8. ისტორიული ციხე-სიმაგრე. 9. ტურისტის წინასწარ დასახული გზა. 10. მუნიციპალიტეტის ყოფილი ადმინისტრაციული ცენტრი. 11. ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა თერჯოლის მუნიციპალიტეტში. 12. მრავალფენიანი არქეოლოგიური ძეგლი სოფელ ძევრში. 13. ციცაბოზე გადმომდინარე წყლის ნაკადი.

სტრიქონები

—პრობლემებს ნუ აგრძნობინებთ თქვენს სისუსტეს.

—„მაგრამ“—ცუდი სიტყვაა, ის კლავს იმედს, რწმენას...

—მოგზაური რომ გახდე გაუკვალავ გზას უნდა გაუყვე...

—დაიღალე? „წუთშესვენება“ აიღე...

—პრობლემებს აგრძნობინეთ, რომ მათზე მაღლა დგეხართ.

—საქმეს ნუ შეუდგებით ვაით და ვიშით. აგრძნობინეთ თითქოს ბედნიერდებით.

—სამსახურში წასვლის წინ კიდევ ერთხელ გაიკონტროლეთ თავი: გასაღები, ტელეფონი, პირბადე...

—კეთილი მზერა აჩუქეთ მეეზოვეებს... გამოელაპარაკეთ, გაუხარდებათ...

—ბუნებით როგორიც არ ხართ—პოზირება არ გამოგივათ, არც არის საჭირო.

—საქმის გადადება—ცუდი ჩვევაა.

—ნუ იქნებით უტოპისტი—იყავით ოპტიმისტი.

—პატივმოყვარეობა და თავმოყვარეობა სხვადასხვა ორბიტაზე „სახლობენ“.

—პირდაპირ „ფაუსტიდან“ ნუ დავიწყებთ. ჯერ „ვეფხის და მოყმის“ ფილოსოფიას გავეცნოთ.

—ნუ დაგტანჯავთ ის, რომ ყველაფრი არ იცით. ეს შეუძლებელია. სხვა შემთხვევაში ინტერესს დაკარგავდა ყოველი...

სიტყვა „უმადურობა“—ყველაზე საშინელი სიტყვაა სიტყვათა შორის.

სულ სხვადასხვა...

ლიმონი

ამ სასარგებლო მცენარის შესახებ უკვე თერჯოლაშიც თითქმის ყველამ ყველაფერი ვიცით, მაგრამ არ ვიცით როგორ შევინახოთ რომ ზამთრის პირობებში ხანგრძლივად შეინარჩუნოს თავის სამკურნალო სასარგებლო თვისებები.

უპირველესად ქსოვილის ნაჭრით საგულდაგულოდ უნდა გავწმინდოთ. ცალ-ცალკე გავახვიოთ ქაღალდში და ჩავალაგოთ ყუთში. ყუთი დავდგათ გრილ ადგილას, ასეთ პირობებში ლიმონი შეიძლება 2-3 თვის განმავლობაში შეინახოს.

სასურველია კვირაში ერთხელ ამოვალაგოთ ყუთიდან, გავწმინდოთ და უკანვე ჩავალაგოთ.

ვაშლი

ვაშლი კარგად ინახება მშრალ სილაში. ასევე შეიძლება შევინახოთ მშრალ სარდაფში—თაროზე დაფენილ ჩალაშიც, ისე რომ ერთმანეთს არ ეხებოდნენ.

ვაშლი და მსხალი ასევე კარგად ინახება ბამბის ქსოვილში, რომელიც ანელებს დამწიფების პროცესს.

გოგრა (კვახი)

იმის გამოცნობა, შემოსულია თუ არა გოგრა—შემდეგნაირად შეიძლება. ნაყოფი იღებს ჯიშისათვის დამახასიათებელ ფერს, ბზინვარებას, კანი უმაგრდება, ყუნწი შეუხმება და ზედ კორპის ფენა გაუჩნდება. რადგან გოგრებში გადამწიფება არ აღინიშნება, შეიძლება მისი ერთჯერადი აღება პირველი უმნიშველო წაყინვების შემდეგ.

გოგრა კარგად რომ შეინახოს, არ დაჟეჟოთ, ფრთხილად დაალაგეთ გრილ და მშრალ სარდაფში.

ფრინველი

ჩვენი რაიონის სიმანდვილეში მიჩნეულია, რომ შინაურ ფრინველს მარცვლეული (ძირითადად-სიმინდის მარცვალი) უნდა გადავუყაროთ და საქმეს ამით მოვრჩეთ... მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ფრინველს მარტო ამით ვერ დავაკმაყოფილებთ.

ჩვერნს „ჯუჯულებს“ ყოველდღიურად მრავალფეროვანი საკვები უნდა მოვუმზადოთ—თუ გვინდა, რომ გემრიელი ხორცი მივიღოთ და ფრინველს დაავადებებიც არ გაუჩნდეთ... აქედან გამომდინარე, სასურველია მარცვლეულს ბოსტნეულისა და სხვა ოჯახური ნარჩენებისგან მომზადებულ ნარევსაც თუ მივუმატებთ.

რა თქმა უნდა, ყუათიანია დაკეპილი ბალახისა და ღერღილის ნარევიც...

ნ. გამყრელიძე

ზურაბ კაჭკაჭიშვილი



ჩვენო საყვარელო ძია, მოულოდნელი იყო შენი გარდაცვალება, თავზარდამცემი ჩვენთვის და ჩვენი ოჯახისთვის. იყავი ბუნებით კეთილი, თბილი, მშრომელი, იუმორით სავსე, ყველასთან მეგობრული. ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყავი, მოგქონდა სითბო და სიყვარული, იყავი ერთგული შვილებისთვის და ოჯახისთვის. თავს დაგტრიალებდა ანა და ზურა, მაგრამ არ გამართლდა მკურნალობა. ახალი წელი გიყვარდა. მხიარული იყავი, აი, სულ მალე მოვა ახალი წელი, შენ ჩვენს გვერდით აღარ იქნები. ვფიცავთ შენ ლამაზ სულს ძია, გავყვებით იმ პატიოსან გზას, რომელზედაც თქვენ 72 წლის მანძილზე დადიოდი, ვიქნებით ისეთი, როგორიც შენ გწამდა, შენი რჩევა დარიგება იქნება ჩვენი გზის მაჩვენებელი.

დაგრჩა ორი ვაჟკაცი გია და ზურა, რძალი ანა, რომლებიც გააგრძელებენ შენს ოჯახს.

გაანათლოს თქვენი სული.

დისშვილები ელისო და მირანდა მაკარიძეები

ნიკოლოზ გვენეტაძე

ჩვენთვის საშინელი 4 ოქტომბრიდან, უკვე ორი თვეც გავიდა ტკივილიანი და ცრემლიანი ორი თვე. გვიჭირს, გვიმძიმს და ვერაფრით ვერ ვეგუებით ამ ქვეყნიდან შენი წასვლით გამოწვეულ უზარმაზარ ტკივილსა და სიცარიელეს. ბიოგრაფია ადამიანის გარდაცვალებით არ მთავრდება, სიკვდილი ვერ დაამარცხებს იმ ღვაწლს, სიკეთეს და ამაგს, რომელიც მიგიძღვის ქვეყნის, საზოგადოების, ახლობლების წინაშე. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი ყოველთვის სიამაყით იხსენებდი განვლილ გზას: „სამხედრო-სავალდებულო სამსახურს ვიხდიდი, როდესაც გამიწვიეს ომის ხაზზე, ვიბრძოდი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, მონაწილეობა მაქვს მიღებული ქალაქები: პრაღაა, ბუდაპეშტის აღებაში... რამდენჯერ ვმდგარვარ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე, მაგრამ არასდროს დავნებებულვარ მტერსო“-ამბობდი. გიხაროდა, რომ შენც შეიტანე შენი წვლილი მშვიდობისათვის ბრძოლაში. გამოჩენილი თავდადების და მამაცობისათვის დაჯილდოებულიც უხვად იყავი მრავალი ორდენითა თუ მედლით. ყურადღება და დაფასება არ გაკლდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირებისგან. განსაკუთრებით გიხაროდა 9 მაისის მოსვლა, უხვად მასპინძლობდი სტუმრებს მუნიციპალიტეტიდან, იღებდი უამრავ გულთბილ მოლოცვას, საჩუქრებს, იხსენებდი მეორე მსოფლიო ომში ბრძოლის ეპიზოდებს.

103 წელი ღირსეულად იცხოვრე და განვლე შენი ცხოვრების გზა. ფიზიკურად აღარ ხარ ჩვენთან, მაგრამ ეს მხოლოდ კალენდარული დასასრულია. „იყავ ერთგული სიკვდილამდე და მოგცემ სიცოცხლის გვირგვინს“ (სახარება). შენ სახელს დავიწყება არ უწერია, ჩვენს გულებში და მეხსიერებაში მუდამ ცოცხალი იქნები. მარადიული ნათელი შენს სულს!

ოჯახი

დავით და მანანა კლდიაშვილები ოჯახით მწუხარებაში თანაუგრძნობენ თამაზ გვენეტაძეს მამის

თამაზ გვენეტაძის

გარდაცვალების გამო.

სსიპ ბადრი ბასილაძის სახელობის თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ სკოლის გერმანული ენის მენტორი მასწავლებლის, თამარ შანიძის დედის

მანანა ზარნაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

მოდი ვნახოთ... გამოფენა!..

40 წელზე მეტია თერჯოლის ხელოვნების მოყვარულებს, ახალგაზრდობას, მშობლებს, საზოგადოების წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა წელიწადის განმავლობაში 4-5 ჯერ ეწვიონ და დაათვალიერონ

სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა, რიგ შემთხვევაში კი სკოლის კურსდამთავრებულთა ნამუშევრებიც, სადაც მათ ლამაზად მოწყობილი თემატური გამოფენით პასუხისმგებლობით და პროფესიონალური თვალთახედვით საინტერესო ნამუშევრების გაცნობა შეუძლიათ.

დიახ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლა ერთ-ერთი ძლიერი სააღმზრდელო დაწესებულებაა იმერეთის რეგიონში, რომელიც ემსახურება ნორჩ „ხელოვანთა“ დაოსტატებას ფერწერასა და გრაფიკაში, დიზაინსა და გამოყენებით ხელოვნებაში და ა.შ. აღსაზრდელები აქვე ისმენენ საუბრებს ხელოვნების ისტორიაში... ანუ ხელოვნების ამ დარგის ნიჭითა და სიყვარულით დაჯილდოებულ მოსწავლეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი შესანიშნავ გარემოში, დიდი პასუხისმგებლობისა და შესაძლებლობების მქონე დირექციის და პედაგოგების გარემოცვაში სრულად დაეუფლონ ხატვის საწყისს საფეხურებს.

თუმცა ეს ყველაფერი არ არის: სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლის აღსაზრდელები სკოლაში გადიან სიყვარულის, მეგობრობის, თანადგომის, ზოგადად ზნეობის გაკვეთილებს, დირექციისა და პედაგოგთა ურთიერთდამოკიდებულებისა და რაც მთავარია, მოსწავლეთა მიმართ მათი დამოკიდებულების მაგალითიდან.

აქ მოსწავლეები სრულიად თავისუფალნი არიან ამა თუ იმ თემის ნამუშევრებში გამოხატვაში ანუ ირჩევენ რა როგორ შეასრულონ.

22 ნოემბერს სამხატვრო სკოლის საგამოფენო დარბაზში დამთვალიერებელთა განსაკუთრებული სიმრავლეა. საშემოდგომო ვერნისაჟი, გარდა იმისა, რომ თვით ულამაზესი შემოდგომით მოწეული მოსავალი, ხილი თუ ბოსტნეული მრავალფეროვანი ფერებითაა წარმოდგენილი, იტევს სხვადასხვა თემატიკის ნამუშევრებს.

ამ სასწავლო წელს სკოლაში იმაზე მეტი მოსწავლეა, ვიდრე ოდესმე, როგორც ქალბატონი თამარი ამბობს—თერჯოლაში ხატვის მოყვარულთა და აქ მოხვედრის მსურველთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება. სკოლის დირექცია ყველა მსურველს აძლევს შანსს მოსინჯოს, გამოსცადოს საკუთარი თავი, სურვილი ერთია, თუმცა რომ ხატო სხვა ნიჭიერებაცაა საჭირო. ასე, რომ დღევანდელი 90 მოსწავლიდან, რომელთაგან თითქმის ყველას ნამუშევარია წარმოდგენილი გამოფენაზე, რაღაც დროის განმავლობაში გამოჩნდება ვისთვისაა ეს საქმე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ მთელი ცხოვრება მის მსახურებას მიუძღვნას.

საშემოდგომო გამოფენას ქალბატონი თამარ ღარიბაშვილი მილოცვით იწყებს. პირველები ის აღსაზრდელები არიან, რომლებისთვისაც ეს გამოფენა ნომერ პირველია, ამდენად, ეს დღეც ძალიან მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი. მათი მხრიდან ღელვა და თითოეული დამთვალიერებლის სახეზე ამოკითხული შთაბეჭდილება კიდევ უფრო ამძაფრებს მათ განცდებს.

თამარი მადლიერებას გამოხატავს თითოეული მოსწავლის, მათი მშობლების, თითოეული დამთვალიერებლის მისამართით.

მეტად საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევს დამწყებ „მხატვრობის მსურველებს“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხატვაში წარმატების მისაღწევად მხოლოდ სურვილი როდია საკმარისი, საჭიროა დაუღალავი შრომაც მიზნის მისაღწევად.

მადლიერება კიდევ და კიდევ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას... „თერჯოლა ერთადერთია რეგიონში, რომლის მოსწავლეებს აქვს შესაძლებლობა საუკეთესო, მშვიდ და ლამაზ გარემოში, პროფესიონალი პედაგოგების დახმარებით ოცნება რეალობად აქციონ, როცა მათ ხატვის ხელოვნების დაუფლების სურვილი გააჩნიათ. მათ სწავლის ხარჯებს სრულად ფარავს მუნიციპალიტეტის მერია. არც ერთ მეზობელ მუნიციპალიტეტში ამის ფუფუნება მოსწავლეებს არ აქვს“.

თამარმა ყოფილ ნიჭიერ აღსაზრდელთა შესახებაც ისაუბრა, რომელთა მიღწევები უკვე თვალსაჩინოა, თერჯოლას უკვე მრავლად ჰყავს არქიტექტორებიც, დიზაინერებიც, გამოყენებითი ხელოვნების მიმდევარნიც, რომლებიც თავიანთ სიტყვას ამბობენ ქვეყნის მასშტაბით. ისინი დღეს უკვე წარმატებულნი არიან თავიანთ საქმიანობაში. იქნებ სწორედ ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ სულ უფრო იზრდება სამხატვრო სკოლის ავტორიტეტი და ინტერესიც მის მიმართ.



ქალბატონმა თამარმა საშემოდგომო გამოფენის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ თაობათა ცვლა სკოლაში მუდამ მიმდინარეობს, მიდის ერთი თაობა, თუმცა ყოველწლიურად მოდის ახალი, რომელთა შორის კვლავ მრავლადაა ნიჭიერი ბავშვები, მათთან მუშაობა მალევე იძლევა სასურველ შედეგს.

თამარმა დამთვალიერებელთა ყურადღება მიაპყრო ნინო მარუაშვილის შოთას პორტრეტს და აღნიშნა, რომ ამ ნამუშევრისათვის მისმა ავტორმა სკოლის პედაგოგთა და დირექციის მადლიერება დაიმსახურა.

სკოლის პედაგოგები მიიჩნევენ, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების მიხედვით სამომავლოდ ნინი მარუაშვილი, გივი წაქაძე, ნინი ქაშაკაშვილი, ანა ფართლაძე, სოფია ჩაფიძე, მარიამ ყვავაძე, ლიზი დევიძე, ნინო მაჩიტიძე, ნინო ღიბრაძე, ლიზი დვალი და მრავალი სხვა კვლავაც მრავალგზის გამოიჩენენ თავს.

საშემოდგომო ვერნისაჟის გახსნას სამხატვრო სკოლაში მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი და მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი გურამ თურქაძე, სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის მუშაკები დაესწრნენ.

სკოლის აღსაზრდელებმა მერიის ხელმძღვანელი პირების მიმართ მადლიერება მათი ნამუშევრების დათვალიერებითა და შეფასების გამო აპლოდისმენტებით გამოხატეს.

მოსწავლეებსა და მასწავლებლებს საშემოდგომო ვერნისაჟის გახსნა მიულოცეს და მომავალი წარმატეტები უსურვეს მანუჩარ რობაქიძემ, მირზა ქოჩიაშვილმა, გურამ თურქაძემ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს თერჯოლელ მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეში სამხატვრო სკოლის როლსა და მნიშვნელობაზე.

მანუჩარ რობაქიძემ თავის გამოსვლაში გულისტკივილი გამოხატა ახლახანს გარდაცვლილი ნიჭიერი მხატვარ აკვარელისტ ნუგზარ ქოჩიაშვილის მიმართ, რომელმაც ნამდვილად ფასეული, მნიშვნელოვანი ნამუშევრები დაუტოვა შთამომავლობას.

შემდეგ კი მერიამ ძალიან მნიშვნელოვანი და სამხატვრო სკოლის პრესტიჟისათვის საპატიო დავალება გააჟღერა.

ამ ეტაპზე ინფრასტრუქტურულ პროექტთა შორის, რომლის სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს ერთ-ერთი ის სკვერია, რომელიც სამხატვრო სკოლას ესაზღვრება და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორ შენობას შორის არის განთავსებული. სკვერში არსებული კედლის მოხატვას მერია სამხატვრო სკოლას მიანდობს. ეს თხოვნაცაა და დავალებაც... ამასთან დაკავშირებით სკოლას მანუჩარ რობაქიძემ საჭირო მატერიალური რესურსებით დახმარება აღუთქვა.

ასე დასრულდა ერთი ლამაზი დღე სამხატვრო სკოლაში, იყო მილოცვები, ღიმილიანი სახეები და სამომავლო სურვილები.

აღსაზრდელებს წინ მრავალი საინტერესო და დაუვიწყარი დღე ელოდებათ. იქნება ეს აქ, მოწყობილი გამოფენები თუ სხვადასხვა შემოქმედებითი კონკურსები, ფესტივალები, სადაც ისინი უსათუოდ თავის სიტყვას იტყვიან წინა თაობათა მსგავსად და რაც მთავარია, შეიძლება ყველა მხატვარი ვერ იქნება, თუმცა თითოეულ მოსწავლეს აქ გატარებული წლები უთუოდ შესძენს ლამაზ პიროვნულ შტრიხებს და გაუფაქიზებთ ესთეტიკურ გემოვნებას.

და ბოლოს, მოდით, ვნახოთ, გამოფენა... ის ძალიან საინტერესო და მრავლისდამტევია!

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** 599 92 49 75

მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** 599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872